№ 236. ოთხშაბათი, 25 ივნისი. 1896—1897 ოთხშაბათი, 25 ივნისი, № 236.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

პირველ ივნისიდგან გაზეთი
წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»
ღირს ოთხი |4| მანათი.

ტელეფონი № 346



ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и Ко. (100—58 წ.)

ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ
ჩვენ განვიზრახეთ ცნობილ რუსს ე. ვოდოვოზოვის თხზულება
«როგორ ცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე»
(ინგლისელები, იტალიელები და გერმანელები)
ქართულად ვთარგმნოთ და დავსტამბოთ.

ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს სასარგებლო წიგნი ქართველ საზოგადოებაში გავრცელდეს. ამიტომ, ჩვენ განვიზრახეთ წინ-დაწინ ხელის-მოწერით შევაგროვოთ მის გამოცემისათვის საჭირო ფული.

წიგნი სამ ტომად გამოვა, ექნება 600 გვერდამდე, 18—30-მდე სურათები და ეღირება 1 მანათი და 20 კაპ.

ვინც წინდაწინ შემოიტანს ფულს, წიგნი დაეთმობა მანათად.

გამოცემას ჰკისრულობს ამხანაგობა „გლეხი“.

ხელის-მოწერა მიიღება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში—ბ ნ ზაქ. ჭიჭინაძესთან; გორში—ექვთიმე კოპლატაძესთან; ხაშურში—სტეფანე ნოზაძესთან; ჭიათურაში—ერმილოზ კიწმარეიშვილთან და გერასიმე ბერიძესთან; საჩხერეში—იასონ ლამბაშიძესთან; შორაპანში—ილიკო ნაჭირაძესთან; ზესტაფონში—ილია მაღლაკელიძესთან, ვანო არდიშვილთან და ტრიფონ ნიორაძესთან; ოზურგეთში—ლადიკო ჩხაიძესთან; ქუთაისში—თეოფილე ხუსკივაძესთან, ბეჟანიშვილისა და ქილაძის წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლაღიძესთან; ახალ სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ბათომში—მიხეილ გაჩეჩილაძესთან; სოხუმში—მამა ბესარიონ ხელაიასთან და ყარპეზ წეროძესთან; გუდაუთში—ბაგრატ მჭედლიძესთან; ნოვოროსისკში—სილოვან კალანდაძესთან და სხვაგან ყველა წიგნის მაღაზიებში.

პირდაპირ ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Батумъ, Миха- Гачечиладзе. (30—14)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლისფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—134)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ბუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ა. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. (წ.)

ქართული საერო
ხორო
ალ. კავსაძის ლოტბარობით და ივ. მჭედლიშვილის გამგეობით ახლად შეკერილ ქართულ ქულაჯებით გამართავს
კონცერტებს
დ. ზესტაფონში შაბათს, 21 ივნისს.
ქ. ქუთაისში კვირას, 22 ივნისს.
დ. სამტრედიაში ორშაბათს, 23 ივნ.
დ. ახალ-სენაკში სამშაბათს, 24 ივნ.
ქ. ფოთში ოთხშაბათს, 25 ივნისს.
ქ. ბათომში პარასკევს, 27 ივნისს.
ქ. სოხუმში კვირას, 29 ივნისს.
ქობულეთში სამშაბათს, 1 მკათათვეს.
დ. ხაშურში ოთხშაბათს, 2 მკათათვეს.

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“
23 ივნისი.

პეტერბურგი. 22 ივნისს სიამის მეფე წარსდგა ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის წინაშე. იქვე ბრძანდებოდა ხელმწიფე იმპერატორი. შემდეგ სიამის მეფე სადარბაზოდ ეწვია ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს. სიამის მეფე დედოფალმა ინახულა ალექსანდრიაში, ფერმერის სასახლეში. დიდის სასახლის დარბაზში საღამოს 7 საათზედ სადილი იყო სიამის მეფის პატივ საცემლად. ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა სიამის მეფის სადღეგრძელო, ხოლო სიამის მეფემ—სადღეგრძელო მეფე-დედოფლისა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: აღკრძალულ იქმნას ქ. რიგაში ლატიშურ ენაზედ გაზეთის «Deenas Lapa“-ს ბეჭდვა რვა თვის ვადით.

სიმფეროპოლი. ბერდიანსკის მაზრაში მოიწამლა თევზით მთელი ოჯახი, რომელიც ექვსის სულისაგან შესდგებოდა. თუმცა ექიმები დროზე მიეშველნენ, მაგრამ ვერა უშველეს-რა და ყველანი გარდაიცვალნენ.

ბერნი, შვეიცარიის სატელეგრაფო სააგენტო იუწყება, რომ ნუმა დროზს უარი არ უთქვამს კრიტის გენერალ-გუბერნატორის ადგილზედ, მაგრამ ამ საქმის გარდაწყვეტა იმ დრომდე გადასდო, ვიდრე დიდნი სახელმწიფონი გამოარკვევდნენ ყველაფერს. მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა და ნუმა დროზს ჰგონია, ჯერ მალე არ გათავდებაო.

კონსტანტინეპოლი. ჯედში შავმა ჭირმა იკლო, მაგრამ სალოცავად წასულ იმ მგზავრთა შორის, ვინც მეწამულის ზღვის კუნძულზედ გაჰგზავნეს, რამდენიმე კაცი გახდა ავად შავი ჭირით.

ბელგრადი. არჩევანების საქმე ყველგან წესიერათა და მშვიდობიანად მიდის. შეიძლება ითქვას, რომ ბელგრადში რადიკალების არჩევა გარდაწყვეტილი საქმეა.

კონსტანტინეპოლი. 21 ივნისს ელჩებმა გადაჭრით მოითხოვეს, გათავებულ იქმნას ყოველგვარი მოლაპარაკება შესახებ საზღვრისა. ამასთანავე ელჩებმა უთხრეს ოსმალეთის მთავრობას, მოლაპარაკება ძლიერ გვიანდებაო. დღეს ამ საქმის გამო მინისტრთა ბჭობა მოხდება. შემდეგი კრება ზავის შესახებ ან ორშაბათს უნდა იყოს, ან სამშაბათს.

ახალი ამბავი

*** „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ“ გამგეობის მოქმედებას 1896 წ. უკანასკნელ წერილში იმაზედ დავდექით, რომ გამგეობის მოღვაწეობა კავკავისა და ბათომის სკოლებისთვის გამოიხატა იმითი, რომ პირველის „სამზრუნველო“ დაამტკიცა და მეორეს კიდევ „ინსტრუქციები“ შეუდგინა. ერთი წევრი გამგეობისა ვითომ სარევიზიოთაც წავიდა ბათომში, მაგრამ შაგირდები აღარ იყვნენ სკოლაში, ამიტომ რევიზია დაასრულა რვეულების გადათვალიერებით.

ამ რიგად ჩვენ ჩავათვალიერეთ „ანგარიში“ მე 11 ე გვერდამდე და 11 მისხლის ოდენი მოქმედებაც ვერ „აღმოვაჩინეთ“ დიდად-პატივცემულ გამგეობის მოქმედებაში. ჩავყვეთ ქვევით. „ხელთუბნის სკოლა“. ამ სკოლისთვის გამგეობას საანგარიშო წელში მიუცია 100 მანათი ერთი და 9 მ. 05 კაპ. ერთი. სხვაფერ მისი მზრუნველობა არაფრით არ გამოიხატება, ესე იგი არცარავის დაუთვალიერებია, არცარავინ იცის, მართლა არიან იქ შაგირდები, არ არიან, სწავლობენ, როგორ სწავლობენ. და სხვა. ერთიც ვნახოთ ესეც გახდეს „ყარაევის ხორო“. ხომ გახსოვთ შესანიშნავი ესე ხორო, თხზულება „ქართულ-დრამატიულ საზოგადოებისა“! თუ ქალაქში შესაძლებელია ზღაპრული „ხორო“, რატომ საფიქრებელი არ არის, რომ სოფლად იყოს „საარაკო“ სკოლა. ასეა თუ ისე, ვის გაუგონია, რომ სკოლა იყოს და პატრონმა წელიწადში ერთხელ არ იკითხოს, რა ხდება იმ სკოლაში. ასეთსავე დღეშია „წინარეხის სკოლაც“. აქაც გამგეობა ფულსა ჰხარჯავს და არკი იცის რაზედ და რა ნაყოფიერებით. „თონეთის სკოლა“—არც ეს სკოლა დაუთვალიერებია ვისმე. «ანგარიშის« ავტორი ჰგრძნობს უხერხულობას ამ გარემოებისას და რომ ოდნავ მაინც დაჰფაროს „გამგეობის“ უსაქმურობა, სწერს: „არც ეს სკოლა ყოფილა დათვალიერებული (ბარაქალა!) საანგარიშო წელს, მაგრამ, როგორც სჩანს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილის პროგრამებითგან (??) და მოსწავლეთა ნაწერებიდგან, ეტყობა (სხვა რა ეთქმით!),

მას უშრომნია ბეჯითად". სწორედ ეგეც „ყარაევის ხოროსა" ჰგავს. იქაც გამგეობა ბძანებდა: როგორცა სჩანს გამგეობის ერთის წევრის მოხსენებიდგან, ხორო არსებობს და ჩინებულადაც გალობსო...

აი, ბატონებო, რაგვარია ღვაწლი-მოქმედება „გამგეობისა" 1896 წელში. რა არის ეს: ხუმრობაა, სასაცილოდ აგდება, შეუგნებლობა, მოუცლელობა თუ სხვა რამ, რის დასახელებაც გვეძნელება!....

დაუმატეთ ამას, რომ გამგეობას არა გაუკეთებია-რა ქუთაისისა და სენაკის სკოლებისათვის, რადგან იქ საკუთარი გამგეობა არსებობს, დაგვრჩება ხელში მხოლოდ და მხოლოდ „ინსტრუქცია ბათომის სკოლისათვის". აი ამით გამოიხატება მზრუნველობა „გამგეობისა" სკოლებზედ.

⁂ **ბ. ტფილისის გუბერნატორის გამგზავრება აბასტუმანში.** ამ კვირის დამლევს ბ. ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე აბასტუმანში გაემგზავრება.

⁂ **ცვლილება ტფილისის პოლიციაში საზაფხულოდ.** ამ დღეებში ბ. ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი რუსეთში მიემგზავრება ორის თვით და, რადგან მისი თანაშემწე ბ. სოკოლოვსკიც სამსახურიდამ განთავისუფლებულია ერთის თვით, პოლიცმეისტრის თანამდებობას ასრულებს ქალაქის მეოთხე ნაწილის ბოქაული ა. ტ. ლოლაძე, ხოლო პოლიცმეისტრის თანაშემწისა—მესამე ნაწილის ბოქაული თავ. ზ. ნ. ერისთავი.

⁂ **პატივსაცემი სტუმარი ტფილისში.** ეს რამოდენიმე წელიწადია, დასტოვა ჩვენი ქალაქი პატივცემულმა ბ. მურიემ, რომელიც ტფილისში ბეჭდავდა ფრანგულს ენაზე სურათებიან ჟურნალს „კავკასიის ილიუსტრაცია"-ს. ამ ჟამად ისევ დაბრუნდა ტფილისში ბ. მურიე; მას შეუდგენია ახალი წიგნი „კავკასიის გზათა-მაჩვენებელი", რომელშიაც მოთავსებულია კავკასიის გეგმა ისტორიულის და გეოგრაფიულის ცნობებით.

⁂ **ახალი დანიშნულება.** ოზურგეთის მაზრის საბეგრო ინსპექტორად დანიშნულ იქმნა ბ. მულინი, რომელიც აქნობამდე ბ. კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიაში საქმეთა მწარმოებლის უმცროს თანაშემწედ იყო.

⁂ **ახალი დანიშნულება.** პოლკოვნიკი პილაევი, რომელიც ტფილისის საკომენდანტო გამგეობის ობერ-აფიცერად არის, თავს ანებებს სამსახურს და იმის ალაგას დანიშნულ იქმნება იმავე გამგეობის ადიუტანტი—კაპიტანი ტემნიკოვი.

⁂ **სოფლის სკოლების მასწავლებლების მდგომარეობა.** კავკასიის ოლქის სასწავლებლების მზრუნველმა იშუამდგომლა, რომ სოფლის მასწავლებლებს მიეცეს ჯამაგირი ხაზინიდან, მახში (ხაზინაში) საზოგადოებებისაგან მოხსენებული თანხის შეტანამდეც; მაგრამ ჯერ კი არ სჩანს სასიამოვნო პასუხი. ახლა-კი სოფ. მასწ. საქმე ასეა: მათ კიდევ მამასახლისებთან აქვსთ საქმე, ე. ი. მასწავლებელმა მამასახლისს უნდა „ელინტილოს" (თხოვოს): შენი ჭირიმე, გაგზავნე ჩემი ჯამაგირი ხაზინაში, თორემ ნამეტანი გამიჭირდაო. თუ კეთილ ინება და გაგზავნა „უჩიტლის ჯამაგირი" ხაზინაში, თუნდაც ორი სამი თვის დაგვიანებით, ხომ კარგი, და თუ არა, საცოდავ სკოლის მასწავლებლებს თავის და გულის ხეთქის მეტი არაფერი ეღირსება „პეტრეს მოსვლამდე".

⁂ **ბ. კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია,** 23 ივნისს, საზაფხულოდ კოჯორში გადიტანეს; იქვე გადიტანებენ სამხედრო ოლქის შტაბსაც.

⁂ **ამერიკის ვაზის გავრცელება ქუთაისის გუბერნიაში.** საქარის საჩქოლეს საშუალებით ქუთაისის გუბერნიაში 400-მდე მევენახეთ უკვე გაუშენებიათ ამერიკის ვაზი და საჩქოლეს ამ დროითვე ბევრნი უკვეთენ ასეთსავე ვაზს მომავალის წლისათვის. საჩქოლეს განზრახვა აქვს წელს მოამზადოს შვიდას-ორმოც-და ათი ათასამდე ამერიკის ვაზი საგაისოდ მევენახეთათვის დასარიგებლად.

⁂ **ნაფიც ვექილის სტაროსელსკის მკვლელობის საქმის გამო.** სამოსამართლო პალატას თხოვნა მოუვიდა ბ. სტაროსელსკის მოკვლაში ბაქოს ოლქის სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილთაგან, რომ მათი სააპელაციო საჩივარი პალატამ უეჭველად ტფილისში განიხილოს, რადგან მოწმეები, რომელნიც ამ საქმეზედ არიან დაბარებულნი, აქ უფრო სიმართლეს იტყვიან, ვინაიდგან არავის გავლენის ქვეშ არ იქნებიანო.

⁂ **ქალაქის ახალი შენობის გამო.** ქალაქს განზრახვა აქვს საკუთარი სახლი ააგოს და შიგ მოათავსოს ქალაქის სამკურნალო და ლაბორატორია; ამის გამო არჩეულმა საგანგებო კომმისიამ განიხილა დაწვრილებით ეგ საგანი და შემდეგს დასკვნას დაადგა: სახლი უნდა აშენდეს შუა-ქალაქში და საჭირო მიწა უნდა იყიდოს ქალაქმა, შენობას უნდა ჰქონდეს 35—40 ოთახი სამკურნალოსა და ლაბორატორიის მოსათავსებლად. კომისსიამ ოთახების სივრცე და განაწილებაც გამოიკვლია და მოკლე ხანში თავის მოსაზრებას გარდასცემს ბ. ქალაქის ხუროთ-მოძღვარს გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად.

⁂ **„შკაფჩიკების" თავ-გასული საქციელი და შეუწყნარებელი ადათი.** წარსულს პარასკევს, საღამოს ხუთს საათზედ, მე, ჩემი ცოლ შვილით და ორი სტუმარით მომიხდა შესვლა ბბ. თამამშოვის ქარვასლაში, სადაც ცოტაოდენი რამ უნდა მეყიდნა. პირველად ნაცნობ „კუპეწთან" გახლდით; ვიყიდე იქ თორმეტი ალაბი „ბატისტის" ჩითი. შემდეგ ამისა, მეწვრიმალეთა დუქნებში დავიწყეთ სიარული „კრუჟევა-არშიების" სასყიდლად. ბევრის სიარულის შემდეგ, როგორც იყო, მივაგენით ჩვენ მოსაწონს „კრუჟევა-არშიას" ერთის მეწვრიმლის დუქანში, რომლის პატრონმა, მეწვრიმალემ, თავისი უწესო ქცევით უსიამოვნება და შეურაცხყოფა მოგვაყენა სრულიად უმიზეზოდ ჩვენის მხრით; სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, გადვიდეთ პირ-და-პირ „ფაქტზედ". საქმე ასე იყო:

„გამარჯობა თქვენი, ვუთხარი მეწვრიმალეს.

— გაგიმარჯოთ, ღმერთმა გაცოცხლოთ, მობრძანდით, რა გნებავთ, გვიბრძანეთ, თქვენი ჭირიმეთ,—მიპასუხა მეწვრიმალემ და პირ-და-პირ დამიწყო ცქერა.

,,კაბების დასავლები კრუჟევა არშიები, მოყვითანო ფერისანი გაქვსთ?

— კრუჟევა-არშიები, თუ ჩვენ არ გვაქვს, მაშ ვიღას ექნებაო,—გაკვირვებით მიპასუხა პატიოსანმა მეწვრიმალემ, მაგრამ მეწვრიმლის პატიოსნებას ქვემოთ ვნახავთ...

მეწვრიმალემ ჩამოიღო მაღლიდგან ქაღალდის ყუთები; ამოალაგა მოყვითანონი ,,კრუჟევები'', გაგვიშალა თვალ-წინ დახლზედ და გვთხოვა გაგვეშინჯა — ავვერჩია და კიდევაც გვეყიდნა. ჩვენც ავარჩიეთ და ფასსაც შევეკითხეთ.

— რავდენი ალაბი „კრუჟევა" გნებავთ?—იკითხა მეწვრიმალემ.

„რვა ალაბი „კრუჟევა", არც მეტი და არც ნაკლები მეთქი, ვუპასუხე მე.

— ერთი ალაბი „კრუჟევა", რომელიც თქვენ ამოირჩიეთ, ეღირება არა ნაკლებ შვიდის კაპეიკისაო—გადაჭრით გვიპასუხა მეწვრიმალემ.

„ძალიან კარგი, აზომეთ რვა ალაბი „კრუჟევა", ვუთხარით ჩვენ.

მეწვრიმალემ აიღო ,,კრუჟევა'' ხელში და დაიწყო ზომვა დახლის ფიცარზედ. მე ეს არაფრად მეჭაშნიკა, რადგანაც კანონიერს ალაბს ვერ ვხედავდი...

,,ძმაო, მე ეგ ,,კრუჟევა'' სოფელში უნდა გავგზავნო; თუ ღმერთი გწამს და საწყენი არ იქნება, კანონიერი ალაბით გაზომე და ისე მოსჭერი მეთქი,„ვსთხოვე ზრდილობიანად.

— კანონიერი ალაბი არ მაქვს, ხათრი ჯანი ნუ გექნება, მე ამ ჩემის „არშინით" გაგიზომავ, შენ წაიღე, გაზომე, საცაც გინდა, თუ მეტიც არ მოვიდეს ნაყიდს ზომაზედ, მოდი და პირში ჩამაფურთხეო, წყრომით დამიწყო ლაპარაკი.

„ძმაო, გასაჯავრებელი აქ რა არის,

ახალი გამოცემა.

თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა. გამოცემული გორის ეპისკოპოსის და საქართველოს ვიკარის ალექსანდრეს-მიერ. ტფილისი, სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა, 1896 წ. 90 გვ. in 4°, ფასი სამი აბაზი.

(დასასრული, იხ. „ცნ. ფურც." № 235).

მეფე დავით აღმაშენებელის „ანდერძს" მისდევს სამი სიგელი: ორი თვით თამარ მეფისა და მესამეც იმის დროინდელი, რომელშიაც მოხსენებულნი არიან თეოდორე კათალიკოსი და მემღვიმენი თამარის დროისანი: ბასილ მღვიმელი, ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი გიორგი და სხ. თამარის სიგელი (1190 წლის ახლო ხანებში დაწერილი) ხელ-მოწერილია თამარის დროინდელ ისტორიულ პირთაგან: ჭიაბერისა, შოთასა (რუსთაველისა), თეოდორე კათალიკოზისა და სხვათაგან. ეს ისტორიული საბუთი იმით არის, სხვათა შორის, საყურადღებო, რომ შიგა გვხდება ჩვენის უკვდავის მგოსნის შოთა რუსთაველის სახელი. აი თვით ის ადგილი სიგელისა, სადაც მისი სახელი იხსენება: „ქ: მე შოთაი ჩემს ყინოჯნის ქუნებასაც შიგა ამას ვამტკიცებ, ვითა მასა შიგა სწერია". ხოლო ეს ყინოჯნის მამული (არაგვის ხეობაში), როგორცა სჩანს, კუთვნილება ყოფილა შოთასი და შიო მღვიმისდა მიცემულ სიგელში შეცდომით ჩაჭყოლია მანდატორთ ხუცესს და ამირსპასალარს ჭიაბერს, როგორც საბუთიანადა ჰფიქრობს თვით ბ-ნი თ. ჟორდანია, და შოთასაც დაუთმია.

ზემოდდასახელებულს საეკკლესიო დოკუმენტებს ჩართული აქვს ფრიად საინტერესო საბუთი: „ძეგლი" ანუ „განგება" ვაჰანის ქვაბთა მონასტრისა.

შინაარსი ამ „ძეგლისა", ხელ-მოწერილი ცნობილის ისტორიულის პირის ივანე მხარგრძელის მიერ 1212—1227 წლებს შუა, შეეხება საქართველოჲს მონასტრების ცხოვრებას და წეს-წყობილებას. ტექსტი „ძეგლისა" შეიცავს წიგნის 33—44 გვერდს, ხოლო იმავე წიგნის 44—49 გვერდამდე მოყვანილია სხვა-და-სხვა წარწერები „ძეგლისა". სულ უკანასკნელი წარწერა ეკუთვნის მეთექვსმეტე საუკუნესა.

აქედან ცხადია, რომ ტაო-კლარჯეთის მთაში აშენებული ვაჰხანის მონასტერი, თვისის ქვაბებით განთქმული, და მასთან ერთად სამცხე-საათაბაგოს პატრონთა და დიდებულთაგან შემოწირული მამულები სულ ორ საუკუნე-ნახევრის წინად ჩვენს საკუთრებას შეადგენდა. ოდეს თათრებმა დაიპყრეს მანდაურობა, ჩვენი ბერებიც იქიდან ივლტვნენ და იმერეთში, მდ. ჩხირიმელას სათაურთან, მოიკიდეს ფეხი. არტანუჯიდან მოსულმა ქართველებმა ახალს სოფელსაც ვაჰანი ანუ ვახანი უწოდეს. მათს ხეობასაც და ციხესაც ვახანის სახელი დაერქვა. გვარიც-კი არის დღეს ვახანია როგორც იმერეთს, ისე სამეგრელოში.

როგორც ვიცით, ვანის მონასტერი დღეს სომხების ხელშია. არ ვიცით დანამდვილებით, როდის დაეპატრონნენ სომეხნი ჩვენთა წინაპართა ნალვაწ-ნაქონებსა. ხოლო არც ამის გამოკვლევა იქმნება საძნელო. მხოლოდ სასურველია, ჩვენი იურისტები მამულიშვილურის გრძნობით გაიმსჭვალნენ, ამ საქმეს ხელი მოჰკიდონ და ჩვენი ნაამაგევი ჩვენვე დაგვიბრუნონ; თვითონაც სახელი გაითქვან და სამშობლოსაც სამსახური გაუწიონ.

ყველა სიგელები ქრონოლოგიურად არის დაწყობილი, ძნელად წასაკითხი ან ჟამთა ვითარებისა გამო წაბღალული ადგილები სიგელებისა ბ-ნ თ. ჟორდანიას მიერ აღდგენილია აზრთა მიმდინარეობით. ყველა ისტორიულს პირს, გინა ადგილს, სიგელში მოხსენებულს, პატივცემული ავქსონი განმარტებას უწერს ხოლმე სხოლიოებში, რითაც ისტორიულად უფრო ფასი ედება მისს შრომასა.

წიგნს უძღვის წინასიტყვაობა, რომელშიაც ჩვენი პატივცემული ისტორიკოსი, სხვათა შორის, არჩევს განსვენებულის დიმ. ფურცელაძის-მიერ რუსულს ენაზე გამოცემულ წიგნს—„Церковные Гуджары" და თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ მისი (დიმ. ფურცელაძის) „გამოცემა ყელთამდი აღსავსეა ქრონოლოგიურის და ნივთიერის შეცთომილებით, რომ ამ შრომას ყოველივე ფასი ეკარგება და თითქმის რომ სრულიად გადასაგდები ხდება"-ო.

საზოგადოდ, წიგნი დიდად საინტერესოა ყველასათვის, ვისაც ჩვენის საეკკლესიო ისტორიის, საზოგადოდ, და, კერძოდ, მონასტრების ისტორიის შესწავლა ჰსურს. ძვირფას მასალას წარმოადგენს ეს წიგნი აგრეთვე ქართულის ენისათვის.

ეს შრომა ბ. თ. ჟორდანიასი გამოცემულია საფასითა ჩვენის ძველის მწერლობის მეცენატისა მისის ყოვლად-უსამღვდელოესობის გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეისათა, რომლის ღირს-სახსოვარს სახელს წადიერებით და უმდაბლესად უძღვნის ავქსონი ამ წიგნსა, და რომელსაც, ვითარცა ღირსეულს შთამონაკვეთს სახელოვანთა და სულმნათ წინაპართა, როგორც ჩვენი პატივცემული მოღვაწე ბრძანებს ჭეშმარიტად, „ის აზრი აღფრთოვანებს, რომ ძველის ჩვენის ქრისტიანულის ცხოვრების ნაშთთა გამოქვეყნებით საშუალება მისცეს უახლესს თაობას შეიგნოს თვით დედა ძარღვი ჩვენთა წინაპართა ზნეობრივის ძლიერებისა და კვალად აღადგინოს დაკარგული „ძველი გზა" სათნოებრივის ცხოვრებისა".

ასეთს სპეციალურს წიგნს ჩვენში ჯერ-ჯერობით გასავალი არა აქვს. მთელის გამოცემისაგან სამშობლო მწერლობის ტრფიალნი-და თუ იყიდიან რამდენსამე თანას. დანარჩენი მთელის წლობით ადგილს იჭერს წიგნის მაღაზიის თაროებზე და მტვრისა და ჩრჩილის მსხვერპლი ხდება ხოლმე. ამიტომ, ასეთთა წიგნთა დასტამბვა ჩვენში—მსხვერპლია, მსხვერპლია ისეთი, რომელსაც მარტო რჩეულნი შესწირავენ მამულსა. მსხვერპლია ასეთი წიგნი ავქსონის მხრივ, რომელსაც მრავალი უძილო ღამეები გაუთენებია წყვდიათით მოცულ ამბის, ათ და მეტ საუკუნის წინად დაწერილის, აღდგენაზე; რომლის ღვაწლს თანამედროვე საზოგადოება სავსებით ვერ აფასებს, და რომელიც თავისს სიცოცხლეში ვერა სტკბება ამ საზოგადოების თანაგრძნობითა. ასეთი ავქსონი მარტოოდენ კდემამოსილის იმედითა სცხოვრობს, იმ იმედითა—იქმნება, მომავალმა თაობამ მაინც გამოიყენოს ჩემი შრომაო.

მსხვერპლია გამომცემლის მხრივაც ასეთის წიგნის დასტამბვა, რადგან ოც-და-ათ, ორმოც თუმანს თვითონ იკლებს და ისიც, მსგავსად ავქსონისა, იმედით-ღა სცხოვრობს—მომავალში დააფასებენ ჩემს ღვაწლსაო.

როგორცა ხედავს მკითხველი, დიდი რწმენა მომავლისა უნდა აღფრთოვანებდეს ასეთთა უანგარო და მარტოოდენ თვისის სამშობლოჲს კეთილდღეობის აზრით გამსჭვალულ მოღვაწეთა!.. დიდაც რომ ქებისა და დიდების ღირსნი არიან ასეთნი რჩეულნი და დიდ-ბუნებოვანნი გვამნი....

NB. როგორც ბ-ნი თ. ჟორდანია თვისის ამ წინამდებარე შრომის წინასიტყვაობაში გვაუწყებს, მეორე ტომი მისის უკვდავის ღვაწლისა—„ქრონიკებისა" უკვე იბეჭდება უბრწყინვალესის თავადის კონსტანტინე ივანეს-ძის მუხრან-ბატონის საფასითა. ესეც სანუგეშო ნიშანია, რომ ამ უსასყიდლოდ მომუშავეს ჩვენის მწერლობის წარმატებისათვის მისთა შრომათა გამომცემელნი მაინც გამოუჩნდნენ.

თ. სახოკია.

თუ შენ არ გაქვს ალაბი, აი მეზობლები ორივ მხრივ, ორი-სამი წუთით ითხოვე მათგან ალაბი და ჩემი კანონიერი თხოვნა ამისრულე, თუ არადა, კანონიერი ალაბი, როგორც ვაჭარს, უთუოდ უნდა გქონდეს დუქანში მეთქი...“რვა ალაბი კრუქევა (მეწვრიმლის ალაბით) ამ დროს მოჭრილი იყო და ხელ-მეორედ იმის გაზომვას რომ ვთხოულობდი კანონიერი ალაბით, მეწვრიმალე ცეცხლივით ენთებოდა, უსიამოვნოდ ხდებოდა, რისთვის?—ამას ქვემოდ დავინაგავთ...

ქაღალდში გახვეული ,,კრუქევა“ სტუმარმა აიღო ხელში და ფასი 56 კაპეიკიც უკვე მისცა სიჩქარით მეწვრიმალეს, რადგანაც ხედავდა, რომ მათსა და ჩვენ შორის გრძელდებოდა, მწვავდებოდა საუბარი. გამოვედით ქარვასლიდგან გარედ და შევისვენეთ კიბეზედ. აქ სტუმარმა მთხოვა:

„სამსონ, ნუ დაიზარებ გენაცვა, შენ ნაცნობ ,,კუპეწთან მიირბინმიიარე და გაზომე კარგი კანონიერი ალაბითა ეს ნაყიდი «კრუქევა», თუ დააკლდეს, აი ეს სამი კაპეიკიც, მიდი და კიდევ იყიდე, მხოლოდ ლაპარაკი და ჩხუბი ნულარ იქნებაო“. სტუმარს დავემორჩილე და გავიქეცი იმ წუთშივე ნაცნობ „კუპეწთან“. ნაცნობმა ვაჭარმა რომ ჩემი თხოვნა მოისმინა, ცოტა შეფიქრდა და მკითხა: რა არის და ვისგან გიყიდნიაო. მეწვრიმლის სახელი დ‚გვარი არ ვიცოდი და რომ კიდეც მცოდნოდა არ ვეტყოდი ნაცნობს ჩემს ვაჭარსა. ვაჭარმა გამომართვა კრუქევა, აიღო დაბეჭდილი რკინის არშინი და დაიწყო ზომვა. ვაჭარს, შევატყე, ძალიან უნდოდა, რომ ზომით სწორედ რვა არშინი გამოსულიყო კრუქევა, მაგრამ არა, ჩვენს სასიამოვნოდ დარჩა საქმე: ერთი ჩარექი დააკლდა რვა ალაბს კრუქევასა. ვაჭარმა ხელ-მეორედ დაიწყო კრუქევის ზომვა და ამ დროს ცოტა ჰიმით ახმარებდა, აზომავდა კრუქევას ალაბსა, მაგრამ ასეთის იმის ცდის შემდეგ დამარცხებულს საქმეს ორი-სამი თითის სიგანეს მეტი აღარ ემატებოდა. გაახვია კრუქევა ქაღალდში, მომცა და მითხრა დარიგების კილოთი:

— არა ღირს ერთსა და ორ კაპეიკის საქმეზედ, ყმაწვილო, ლაპარაკიო.

,,საქმე ერთსა და ორს კაპეიკში კი არაა, საქმე სიმართლის აღდგენაშია-მეთქი. მე მინდა, როგორც პატიოსანმა ვაჭარმა, სთქვა, პატიოსნურად, სამართლიანად არის ეს კრუქევა აზომილი, თუ არა მეთქი, ესე იგი, სრული რვა ალაბია თუ ნაკლები მეთქი,—გიწყრომით მივმართე ნაცნობს ვაჭარს.

— ЧТОЖЪ, რვა ალაბს აკლია ცოტა, მიბრძანდით, ეგებ შეცდომით მოუვიდა, აჩვენე და დანაკლისი შეასრულებინეო, ,,დაუჭირა ვაჭარმა მხარე ვაჭარსა.“

,,ეგ მე კარგად ვიცი, რაც შეცდომა მოუვიდა, ვუპასუხე ნაცნობს ვაჭარსა, მადლობით მოვშორდი და გავეშურე მეწვრიმალესკენ. მივედი და ჩუმად ვუთხარი—შენს მოყიდულს კრუქევას ცოტაოდენი დააკლდა ზომაში-მეთქი.

— რა იცი, რომ ნაკლებია, ვისთან გაგიზომავს აბა, მითხარი, ეგებ ის კაცი ჩემი მტერიაო, გაჯავრებული მეუბნებოდა მეწვრიმალე.

,,არა, ძმაო, ის კაცი შენ ვერ გიცნობს, რადგანაც შენი სახელი და გვარი მე არ მითქვამს, ან საიდგან ვეტყოდი, როდესაც არც სახელი ვიცი შენი, ჩემო ძმაო, და არც გვარი. ეს კია, ღვთის წინაშე, რომ შენი არშინი იმ ვაჭრის არშინს გავაცანი შენგან ნაყიდ კრუქევის საშუალებითა-მეთქი. ამის თქმა აღარ მაცალა, რომ გამომტაცა ხელიდან ქაღალდში გახვეული კრუქავო, მიბრუნდა დახლისაკენ, ამოიღო 56 კაპეიკი, გადმომიყარა და მითხრა: „აი შენი ფულები, წაიღე, შენზე აღარაფერს ვყიდიო“. ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთის კილოთი იყო მომართული ჩემდამი, რომ, მადლობა ღმერთს, გულს არ ავყევი და თავი შევიკავე იმ უწესოებისაგან, რომელიც ამნაირს შემთხვევაში მოხდება ხოლმე... ამ დროს რამდენმამე ვაჭარმა მოიყარა თავი და დამიწყეს ლაპარაკი... ლაპარაკმა ცოტა გამართო, მივუბრუნდი მეწვრილმანეს და გამოვსთხოვე სახელი და გვარი, მაგრამ ცივი უარი მივიღე; და რადგანაც სხვებმაც არ მითხრეს მისი ვინაობა, დავნიშნე დუქნის ნომერი, რომელიც 67 იყო.

ეს ფაქტი პოლიციისათვის უნდა მომეხსენებინა, მაგრამ სამმა გარემოებამ შემიშალა ხელი: თითქმის აგერ ორმოცი წლის კაცი ვარ და არ ვიცი პოლიციისა და სასამართლოს კარები; სამსახური სახელმწიფოსი ნებას არ მაძლევდა დავისათვის. უნდა დავბრუნებულიყავ ქარვასლიდგან და ცოლშვილი ხომ გაწიწმატებული მიძახდა მოვშორებოდი და არაფერი ევნოთ ჩემთვის ვაჭრებსა, რომლებიც, მართლაც, როგორც ჯარი ისე შემომეხვინენ და გზას ველარ ვხედავდი, საით წავსულიყავ...

ვაცხადებ რა ამას თქვენს პატივცემულ გაზეთში, უმორჩილესად ვსთხოვ იმათ, ვისგანაც ჯერ არს, რომ ყურადღება მიაქციონ ზოგიერთა ხსენებულ ქარვასლის ასეთს ვაჭრებსა და იმათ უკანონო ალაბებსა. ამას გარდა, ზევრს ადგილას ნოეს დროიდგან გაკეთებული რკინის ალაბები აქვთ ვაჭრებს, ისეთი ალაბები, რომლებსაც აქეთ-იქითა ბოლო თავები დასცვეთიათ; ასე რომ, მაგალითად, ათი არშინი რამე მატერია რომ იყიდოთ, დააკლდება სამი-ოთხი გოჯი და ეს დიდი დასაკლისია მყიდველთათვის, მგონი..

სამსონ ღონღაძე.

⁂ **ცრუ-მორწმუნეობა გურიის სოფლებში.** ერთი ძლიერ სამწუხარო მოვლენა ჩვენში ის არის, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამლევსაც არ აღმოიფხვრა ხალხში ცრუ-მორწმუნეობა. გურიაში, სადაც სწავლა-განათლებამ, ცოტა მაინც, ფეხი მოიდგა,—ყვავილს ბატონები უნდა ერქვას? და ამ გამანადგურებელ ჭირს თაყვანს უნდა ვცემდეთ?.. საკვირველია საქმენი ჩვენნი, მკითხველო! ჩვენში რომ სოფლის მცხოვრებთან, უმეტეს ნაწილად ქალთან, ყვავილი სენად ახსენო და „ყვავილ-ბატონები, დიდება მისს სახელს“ არ დაარქვა, სწორედ რომ ჯვარს გაცმენ.

— უი, ჩემი სიკვდილი, რას ჩივა აგი! ყვავილ-ბატონებს, დიდება მისს სახელს, „ჭირი“ არ დაათქვა?!. უი, უი, მეც ქე წამომცდა, ღმერთო და წმინდაო ანგელოზებო ნუ მიკანონლებ! ჩემი ცოდვილი პირიდგან აგი ეკადრება? დიდება მისს ბატონობას!!

— სხაპა-სხუპით დაგახალებს თავზედ ამ სიტყვებს, გაოცებული და ცრუმორწმუნეობით დაბრმავებული ქალბატონი. ამით მკითხველებს არ შევაწუხებდი, მაგრამ რადგანაც ასეთი რწმენა შედეგია არა სასიამოვნო შემთხვევებისა, ამიტომ გავკადნიერდი და მოგახსენებთ, ბატონებო! იმ საზოგადოების ერთს სოფელში, რომელშიაც მე ვცხოვრობ, ამ ცოტა ხანში საკმარისად იმსხვერპლა ხალხი ასეთმა ბატონებმა, ხოლო ანგელოზებად რომ არ ეწამნათ და მეტანიას, ბაზმას (დანაყილ ნიგოზს ცეცხლს მოუკიდებენ) და შაქრის ყინულის მაგივრად ექიმისათვის მიემართათ, სიკვდილით შემთხვევა ნახევრამდის მაინც შემცირდებოდა. ამიტომ საჭიროა დაევალოს მღვდლებს, როგორც გავლენიან პირებს სოფელში, ჩააგონონ ხალხს ყვავილის არა ბატონობა.

ინ-ჩინი.

⁂ **გუდაუთა.** (აფხაზეთი) **გვალვა.** ცუდს დღეშია ჩავარდნილი მთელი ზიფუ. მაისის პირველ რიცხვიდან მოყოლებული ცას კრიჭა შეეკრა და ცვარი წვიმა არა ჰღირსებია დედამიწასა. წინა წლებში ამ დროს ყანებს ხასხასი გაჰქონდა და წლეულ-კი დაუთესავი მინდვრები გულს უკლავს ადამიანს. დედა მიწამ მთელს ერთს ალაბზე პირი დაალო; თუ ფრთხილათ არ იარა კისერს მოიტეხს კაცი. აფხაზებმა მთლად ხელი აიღეს მუშაობაზე. ასე ამბობენ: ქილა სიმინდი ხუთი შაური ღირს, ვიყიდი და ისე ვირჩენ თავსაო. საშინელი ქესატობაც ჩამოვარდა. ცხოვრება გაჭირდა. ამასთან ქურდობამაც იმატა.

ჩვენის დაბის მცხოვრები თითქმის სულ მეგრელობაა. ერთმანერთთან თანხმობით და სიყვარულით რომ სცხოვრობდნენ, ბევრის სასიკეთო და საშვილიშვილო საქმის გაკეთება შეუძლიანთ, მაგრამ, როგორც ყოველგან ჩვენში, აქაც ყველა თავისკენ გაიწევა. „სხვისი ჭირი—ღობეს ჩხირიო», საქმე-კი რამდენია ჩვენს პატარა დაბაში გასაკეთებელი: სკოლა გნებავსთ, სამკითხველო გნებავსთ, თუ ეკკლესია, თუ აღებ-მიცემობა. ახლა თვით დაბის ვითარება იკითხეთ. ყველაფერს ზრუნვა უნდა, გაკეთება. ერთი კაცი ვერაფერს გახდება. უნდა ერთმანეთს მივსცეთ მხარი, ძმურად დავეხმაროთ ყველაფერში და მაშინ წარმატება დაგვეტყობა საზოგადოდ და კერძოდ თითო-თითოს.

გ. ბაღდავაძე.

⁂ **სოფ. ქ.-მაჩხაანი.** (კიზიყი). **ხრიკები ჭირნახულის წინად.** ჩვენსკენ მკა უკვე დაიწყეს, ზოგნი ქერებს მორჩნენ და ეხლა პურსა მკიან. მოსავალი, მადლობა ღმერთს, კარგია ნამეტნავათ სოფელ ორბოშიკელებისა, მირზაანელებისა და ზემო-მაჩხაანელებისა; საზოგადოთ წლეულ უკანა მხრის ამინდია. ეს ადგილები შეუნიშნავი არ დარჩათ ანტიდეპოელებს და მის ქორბუდიან წევრებს. (ანტიდეპოს აქ სიღნაღელი სომხების დუქანს ეძახიან, რომლებმაც მუშტრის მისაზიდავათ თავიანთ დუქანს დაუძახეს დეპო, ხალხმა გადააკეთა „ანტიდეპოთ“.) დაძვრებიან სოფლის გაიძვერა მგელ-კაცებთან, მელურად უკვდებიან ხელში, შესთავაზებენ ხოლმე არაყს და ჰპირდებიან კარგს, არშინ ექვს აბაზიან; პრუნლის ახალუხს ოლონდ-კი კალოზე ნება მარტო მაგათ მისცენ ვაჭრობისა და ვრაცები-კი არ ჩამოუშვან სავაჭროდ, რომ უშმცილოდ, მარტოკებმა, როგორც უნდათ, ისე გაატყავონ ხალხი. სწორედ ამაზე ითქმის „აზამბურული თათარი ღორის თავს მეცილებოდაო“. სოფლის ბობოლებიც, გახალისებულები დაპირებულის ახალოხით და სადილებით, „მამა-შვილურად და ძმურად ურჩევენ ხალხს, რომ საქულა ჩამოუშვათ კალოზედო და თან დასძენენ, „რაც უნდა იყოს, ნაცნობი ციებ-ცხელება სჯობიაო“.

— „რომელი საქულა?“ კითხულობს ხალხი.

— „აგე, შარშან რო იყო.... ბრუტიანი საქულა“.

ხალხში ერთი ალიაქოთი და ჩოჩქოლია:—,,არ გვინდა, არა შარშანაც დაგვღუპა და დაგვაქცივაო“.

ზოგი იძახის, არშინში მოგვატყუაო, ზოგი წყავში მეტი გადაიყოლაო; ყველანი ემდურებიან და უარს აცხადებენ. მაგრამ რას გააწყობენ ეს საცოდავები; ,,მზე და მთვარე რომ შენსკენ იყოს, ვარსკვლავები რას დაგაკლებენო“.

ტყულია მათი წუხილი და ჩოჩქოლი. სოფლის ბობოლებს თვალწინ უდგათ მსუქანი სადილი და შავი ლიპლიპა პრუნლის ახალოხი და აბა ესენი თავიანთს რაღას დაიშლიან, ამათ ხელშია სოფელი და ამათ იციან, ვისაც ჩამოუშვებენ კალოზე. ეხლაც თუ ჰკითხეს, ისე, ფორმალურად და მოსაჩვენებლად, თორემ რა საჭიროა—მთელი სოფელი ამათ გველეშაპივით ხელში უჭირავთ.

არც თუ ფოდრადჩიკებს, ესე იგი ფულზე მყიდველებს სკლადისას სძინავთ ყურზედ, ესენიც ცოტ-ცოტა ემზადებიან. ამათ უფრო წინა დღით აქვთ გარიგებული საქმე. ამათ ჯეჯილობაშივე დაიბევეს სულადის პატრონები, ამათ ორი-სამი თვის წინათვე გააბეს მახეში მუშტრები და დაურიგეს წინა დღით ფული, ეხლა მხოლოდ მოუთმენლად-ღა ელიან, როდის იქნება ერთი გალეწონ, რო ვიგირთოთ და ვიფარფაშოთ იმ ოქროს ხავებშიო.

გამონახეს და გამოსწყეს ნიტრიანები, ხომ არა დაკლდათ-რა ამ ცივ ზამთარშიო და რა დარწმუნდნენ რო ისევ სალად ის 20 გირვანქიანი ჩანახები არიანო, სიხარულით შეაგდეს და შეათამაშეს, ნატვრის თვალივით.

აწყვა რომ არ დავიწყდეთ, დღეში ათჯერ მაინც რეპეტიციები აქვთ. ვა, მაშ ყველა საქმეა: წყვა, თვლა, გადაყოლვა, მუჭის ამოსმა, ე. ი. ნიტრიანს ქვეშიდამ მუჭი დააყოლოს. მაშ, ხუმრობა ხომ არ არის, ცოტა რიგიანად და შახათ უნდა მოემზადნენ, „ეს არი რაღა, ეს ორი სამი თვეა“, იტყვიან ხოლმე, „რთველია, რაღა, რთველი,—„გაუსვი, ვინ არის შენი ყურის მგდებელი, სოფლის ბობოლები? ბანჩუნეს, ამთ ერთი ორი სიტყვა უთხრამ და ჩაფე მელიქ ჯან მურზია ამ სეარეფში ცხოვრება“.

ა.

⁂ **ახალ-სენაკი.** **საგაჭრო და სამრეწველო ამხანაგობის დაარსების გამო.** გაზ. ,,ცნ. ფურც“. მე-212 №-ში დაბეჭდილია წერილი სამეგრელოდგან ბ-ნ ტრ. კალანდარიშვილისა, რომელიც შეეხება სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობების დაარსებას. ხსენებული წერილი ბ-ნ ტრ. კალანდარიშვილისა, სრულიად მოსაწონია ყოველის ჩვენგანისაგან და ქების მეტი არა გვეთქმის-რა მით უფრო, რომ ბ. ტრ. კალანდარიშვილს არა ერთხელ გამოუთქვამს და მიუქცევია თვისი ყურადღება დღევანდელი ჩვენი გლეხ-კაცების ნივთიერად დაქვეითებაზე და არა ერთი გზით გამოუთქვამს თვისი აზრი ამის შესახებ გაზ.,,ივერიაში“; ეხლაც ბ. ტრ. კალანდარიშვილმა ,,ცნ. ფურ.“-ის 212-№-ში, მშვენიერი რჩევა მოგვცა ყველას. მაგრამ დიდად დაგვავალებდა ბ-ნ ტ. კალანდარიშვილი, დაესახელებინა, თუ ვინაა ამ საერთო და საზოგადო საქმის მოთავე, რათა ჩვენ შეგვეძლოს ჩვენის აზრისა და სურვილის გამოცხადება იმ პირებთან. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ ბ. ტ. კალანდარიშვილს თქვენი პატივცემულ გაზ. „ცნ. ფურცლის“ საშუალებით გამოაცხადოს ის პირები, რომელთაც სურს თაოსნობა და გაძღოლა ამ კეთილ და ყველასთვის სასარგებლო საქმეში. თუ ამგვარი დაწესებულება დროისით არ იქმნა შემოღებული ჩვენში, თქვენი მტერი, მთლად განადგურდება ჩვენი ცხოვრება და უცხოელთა ხელში ჩავვარდებით...

მოკეთე.

⁂ **ქუთაისი.** **ოქროს მედლით დაჯილდოვებული ქალი.** წლეულს აქაურ წმ. ნინოს სასწავლებლის 9 კლას-დამთავრებულთა შორის ოქროს მედალი მიუსაჯეს ალექსანდრა ნანეიშვილის ქალს, რომელიც წელსვე აპირობს რუსეთში წასვლას ქალთა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განსაგრძობად.

⁂ **დ. ზესტაფონი** (იმერეთი). **ბ-ნი კავსაძე და მისი ხორო.** 21 ივნისს მეორედ გვესტუმრა ბ-ნი კავსაძე და მჭედლიშვილი თავიანთის ხოროთი. საზოგადოება კარგა ძალი დაესწრო. კონცერტმა კარგად ჩაიარა. საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები თორმეტ საათზე დაიშალა. ვუსურვოთ გამარჯვება ბ-ნთ მმართველთ ამ ხოროსი, რომ ხანგრძლივად და დაუზარებლად ემსახურონ ისინი ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს. კონცერტის გათავების შემდეგ ყმაწვილები გაემგზავრნენ ქუთაისში, იქიდგან აპირებენ გამგზავრებას სამტრედიაში, ახალ სენაკში, ფოთში და ბათომში, იქიდგან-კი დაბრუნდებიან კვლავ ტფილისს.

ურჩი.

⁂ **ს. ჭიათურა** (იმერეთი). **სამკითხველოს საქმე.** ჭიათურელებს გვაქვს ერთადერთი ნუგეში და იმედი—ცოტად-თუ-ბევრად შეგნებულ და წერა-კითხვის მცოდნე პირთათვის აქაურ გულშემატკივარ ინტელიგენტთაგან დაარსებული—სამკითხველო-ბიბლიოთეკა. სწორედ დიდი იმედი და ნუგეში არის ასეთი კეთილი დაწესებულება ისეთ ადგილას, როგორიც ჭიათურა არის. ყოველსავე უსაქმო და საქმიან კაცს აქ შეხვდებით. რა ჯურის ხალხი გინდათ, აქ რომ არ შეხვდეთ... ამდენი ხალხის ჭიათურაში ყოფნას, დაუმატეთ კიდევ შავი ქვის დაცემული და გათახსირებული მუშაობა, მაშინ წარმოგიდგებათ თვალწინ მთელი ბრბო ხალხისა, უსაქმოდ და უარარაოდ

მოხეტიალე. აი, ამოდენა უსაქმო ხალხის, როგორც მოგახსენეთ, ერთად-ერთი ნუგეში და იმედი არის აქაური სამკითხველო-ბიბლიოთეკა. ვინც-კი ცოტად თუ ბევრად, წერა-კითხვა იცის და, იმის ასაცილებლად, რომ სამიკიტნო-ყავახანაში გარყვნილ დროს ტარებას არ მიეცეს, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს. გზა-დაბნეული უსაქმო კაცი, რომელიც მიისწრაფოდა ყავახანაში, ნარდის და ბანქოს თამაშით თავისის დარდის გასაქარვებლად, შემოხედავდა თუ არა მის (სამკითხველოს) წარწერას, ბრუნდებოდა უკან, და გონება-შემოკრებილი, ჯოჯოხეთის კარების მაგივრად, სამოთხის კარებს მიადგებოდა, ე. ი. ყავახანაში წასვლის მაგიერ, სამკითხველოში შედიოდა...

გავიდა ხანი. შავი-ქვის მუშაობა მეტის-მეტად ჩავარდა. ის გულ-შემატკივარნი ინტელიგენტნი, რომლებიც სამკითხველოს ფეხზე აყენებდნენ, გაშორდნენ ჭიათურას. რომელნიც დარჩნენ, იმათაც მობეზრდათ, იმათაც მიანებეს სამკითხველოსთვის ზრუნვას თავი. დარჩა მხოლოდ ორიოდე პირი, რომლებიც ცდილობდნენ, სულთ-მობრძავი სამკითხველო დაეყენებიათ ფეხზე, მაგრამ ესენიც ვერას გახდნენ...

ამას დაემატა კიდევ აქაურის ბოქაულის ოქმი. აი, ამ ოქმის შედგენის ისტორია:

28 მაისს, როდესაც სამკითხველოში ვიყავით რამდენიმე პირნი და გაზეთს ვკითხულობდით, შემოვიდა ერთი პატარა ბიჭი, დუქნის შეგირდი, და გამგეს წიგნი მოსთხოვა. გამგემ, როდესაც ბიჭის სახელი და გვარი შეიტყო, უთხრა: შენ წიგნი გაქვს წაღებული, მოიტანე ის წიგნი და, შემდეგ, სხვას გაგატანო (აქ წიგნს უცნობსაც ატანენ სახელისა და გვარის დაწერით). ბიჭი გამობრუნდა უკან და წაილაპარაკა: „არ დაგავიწყდეს, ჩქარ-ჩქარა ილაპარაკე"-ო. ეს რომ სამკითხველოს გამგემ გაიგონა, გამოჰყვა გარედ ბიჭს, გადააძრო თავზე ბაშლაყი და უთხრა: როდესაც წიგნს მოიტან, შენ ბაშლაყს გაგატანო. ბიჭმა გასწია პოლიციაში და, მოიყვანა ჩაფარი. ჩაფარი შემოვიდა სამკითხველოში და უბრძანა გამგეს, ბაშლაყი დაებრუნებია ბიჭისთვის. გამგემ მოახსენა: ბიჭს წიგნი აქვს წაღებული, მოიტანოს და ბაშლაყს მივცემო. ჩაფარმა ეს იწყინა, როგორ-თუ შენ ჩემს ბრძანებაზედ სიტყვა შემომიბრუნეო და ხმას აუმაღლა, გამგემ კიდევ თავისი სიტყვა გაიმეორა. ეხლა-კი გამოვიდა მოთმინებიდამ ჩაფარი და კარგი ლაზათიანი ყვირილი ასტეხა სამკითხველოში, ასე რომ ჩვენ წამოვცვივდით, გვეშინოდა გამგე არ გაგვილახოს უდანაშაულოდა-თქვა. ერთმა მკითხველთაგანმა, იმ სახლის პატრონმა, ვის სახლშიაც სამკითხველო არის მოთავსებული, მოახსენა ჩაფარს: „აქ, სამკითხველოში, ხმა მაღლა ლაპარაკი არ არის წესი და გთხოვთ დამშვიდდეთ და ხმა-დაბლა ილაპარაკეთო"-ო. ეს სიტყვები ჩაფარმა შეურაცხ-ყოფად მიიღო: „როგორ თუ, თქვენ მე, მაგისთანა სიტყვებს მიბედავთ, როდესაც მე „ისპოლნიატი პრიკაზანიას' ვაკეთებო", დაემუქრა მის შეურაცხ-მყოფელს და გავიდა გარედ. ცოტა ხანს შემდეგ მობრძანდა ბოქაული, თავისი მწერალ-ჩაფრებით და ლუქ-სანთელით, ბიბლიოთეკის დასაბეჭდათ. თუმცა სამკითხველო არ დაუბეჭდავს, მაგრამ ოქმი კი ვრცელი შეადგინა, სამკითხველო დაკეტილ იქმნასო.

როგორც ვსთქვით, მაინც არ ყავდა სამკითხველოს ერთგული მზრუნველნი და შემდეგ სულ ჩამოეცალენ. დღეს-კი სამკითხველოს წიგნები ალაგებულია და წაღებულ წიგნების დაბრუნებას უცდიან და მერე უნდა დაიკეტოს. ბ-ნი იაშვილი, სამკითხველოს დამაარსებელი, როგორც მისგანვე გავიგეთ, დროებით მიდის ჭიათურიდან და სამკითხველოს კეტავს სამუდამოდ. სასურველია, რომ ვინმე ჭიათურის გულშემატკივარმა ინტელიგენტმა ითაოს ეს საქმე, მიიღოს თავის-თავზე და არ მოუსპოს არსებობა, რითაც დიდად დაავალებს აქაურ საზოგადოებას.

ს. თ—ია.

ქალაქის საბჭო.

23 ივნისი.

ქალაქის საბჭოს განსახილველად 27 საქმე ჰქონდა დანიშნული და მათში მხოლოდ 9 საგანი განიხილეს და ისიც ისეთები, რომელნიც უფრო ადვილები და უმნიშვნელონი იყვნენ; სამძიმო და საჭირო საქმეები-კი, როგორც ყოველთვის, გადასდვეს მომავალ სხდომისათვის; მგონი, აწინდელს საბჭოს აღარც ექნება სხდომა და მაშასადამე ძნელი საქმეების განხილვა დაულოცეს ახალს საბჭოს, რომელიც შემოდგომამდე არ დაიწყებს მოქმედებას.

ქალაქის საბჭოში, როგორც მოგეხსენებათ, ჩხუბი, ლანძღვა თრევა და საზოგადოდ კურიოზები „არ ახალია—ძველია": აი რა მოხდა ამ დღეს საბჭოში: სხვა საქმეთა შორის, საბჭომ განიხილა „ურთი-ერთ შორის დამზღვევის საზოგადოების" გამგეობისაგან წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 1897 წლისათვის, რომელშიაც გამგეობა თხოულობს—6507 მან. და კიდევ 420 მან.—ბუღალტერის თანაშემწესათვის (ახალი თანამდებობის დაარსებას თხოულობენ). ამ საგანმა ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია; ზოგნი წინააღმდეგნი იყვნენ ახალის თანამდებობის დაარსებისა, რადგან ერთი ბუღალტერი სრულებით საკმარისია და ადვილად შეუძლებს ჯეროვანად აწარმოვოს გამგეობის საქმეები, თუ ბეჯითად იმუშავებსო, ზოგნი-კი თანახმანი იყვნენ დაენიშნათ ბუღალტერისათვის თანაშემწე, რადგან საქმეებმა იმატა და ერთი ვერ ასწრებსო. სხვათა შორის, ხმ. ა. ს. ბაბოვმა, რომელიც წინააღმდეგი იყო, სთქვა: „ახირებულია, თქვენა ბრძანებთ, რომ საქმეები შეუსრულებელი რჩება და იმიტომ ახალი თანამდებობა უნდა დავაარსოთო, ახალი ხარჯი უნდა გავსწიოთო; ვსთქვათ, დავნიშნეთ ბუღალტერის თანაშემწე,—რომ მაშინაც არ შესრულდეს ჯეროვანად საქმეები, სჩანს, კიდევ და კიდევ უნდა დავნიშნოთ ახალი პირები. ასე ბოლო არ ექნება და ამდენი ხარჯი სამძიმო იქმნება ჩვენთვის და არც საქმე გაკეთდება სასურველად! ჩემის აზრით, თუ საქმეები შეუსრულებელი რჩება--ეს მოხელეთა სიზარმაცეს უნდა მიეწეროს, რადგან გამგეობას იმოდენი საქმე არა აქვს, რომ ერთმა ბუღალტერმა ვერ მოასწროს, და ამიტომ ეხლა რომ იმას თანაშემწე დავუნიშნოთ,—ეს სიზარმაცის წაქეზება იქმნება... არ არის საკადრისი!.. დავითხოვოთ ბუღალტერი, თუ არა სურს მუშაობა, და ისეთი დავიქირავოთ და ისეთს ვაძლიოთ ჯამაგირი, რომელიც გულმოდგინეთ შეასრულებს თავისს მოვალეობასა"-ო.

თურმე, რაღაც ეშმაკად, ის ბუღალტერი—ბ. კანდურალოვი, ქანდარაზე იყო და ყველაფერი გაუგონია ბ. ბაბოვის ნალაპარაკევი; რასაკვირველია, იწყინა ესა და გამოექანა იქიდამ და საბჭოს დარბაზში ამოჰყო თავი, მიაშურა პირდაპირ ბ. ბაბოვს... აქ რაც მოხდენოდა, თვით მკითხველებიც მიხვდება...

შეიქმნა მიწევ მოწევა, მორიგს საქმეებს თავი დაანებეს (კენჭს უყრიდნენ სხვა-და-სხვა კომისიების წევრთა) და მოჩხუბართა დაზავება დაიწყეს: ერთს აქეთ ეზიდებოდნენ კალთით და ერთს იქით...

ამნაირად დააგვირგვინა ქალაქის აწინდელმა საბჭომ თავისი ოთხის წლის მოღვაწეობა ქალაქის ინტერესებისადმი.

განცხადებანი

ცნობილის ფაბრიკის

როიალები

პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо

Б. М. Мириманяна.

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинс. Дворянства.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული"

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის" მაღაზიაში.

ქუთაისში: ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლალიძესთან.

ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქნ ნინო ბერეჟიანთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში".

ლანჩხუთში—„შუამავალში", გ. თავართქილაძესთან.

საჩხერეში—„შუამავალში".

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.

სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან, სამ. ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.

კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.

ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე გურცხალიასთან.

ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

გუდაუთში (სოხუმის ოლქში) გიორგი ბადდავაძესთან.

ალსტაფაში მიხეილ გორდაძესთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—10) «კრებულის» რედაქტორი აკაკი.

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული

ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი

„ქართველთა ცხოვრება" ასამდე სურათით

და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს

5 მანათად.

ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—13)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Іюня 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.